



გიორგი კახიაიძე
მოვლენები

ავტორი:
დიმიტრი ჭაფარიძე

ქართული საბანკო ისტორია ათწლეულის მიჯნაზე

მიმდინარე პერიოდი უხვია საფინანსო სექტორის კორექციისკენ მიმართული რეგულირებების შემოღების თვალსაზრისით. ნიადაგი აღნიშნული ცვლილებებისათვის რამდენიმე წლის მანძილზე მზადდებოდა, თუმცა განხორციელების ინტენსივობა ბოლო ორ წელზე მოდის. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ცვლილებები თითქმის ერთი მარეგულირებელი უწყების წიაღში აღმოცენდა. თუმცა თუ გავიხსენებთ ბოლო პერიოდის თამამ იდეებს, რომლებიც ფინანსთა მინისტრის მიერ არის გაუფრებელი, სარწმუნოა, რომ ამ მიმართულებით გააქტიურება უფრო ფართო საზოგადოებრივი პრობლემების ანარეკლია, ვიდრე მხოლოდ საფინანსო სექტორის კორექციის მიზნით განხორციელებული რეგულაციური მოქმედებები.

კერძოდ, საუბარია არა მხოლოდ ქვეყანაში ყველაზე მგრძნობიარე მეწარმე სუბიექტების – მიკრო- და მცირე ბიზნესისათვის ფინანსებთან წვდომის გაუმჯობესებაზე სასესხო თუ საწყისი კაპიტალის დაფინანსების ნაწილში, არა მხოლოდ საფინანსო ინდუსტრიის მხრიდან ამ პრობლემის შესამსუბუქებლად ეფექტიანი ერთჯერადი კონტრიბუციის გაწევის აუცილებლობაზე და არა თუნდაც ახლახან მთავრობის სხდომაზე წარდგენილ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომლებიც საფინანსო სექტორში მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვის საშუალებას აფართოებს.

საუბარი შეეხება უფრო ფართო ცნებებს: სიღარიბეს, უმუშევრობას და შემოსავლების მწვავე უთანაბრობას ქვეყანაში. ამგვარად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამთავრობო დონეზე იცვლება ძირითადი თხრობის თემატიკა და დღის წესრიგში ადგილს ახალი პრიორიტეტი – სოციალური განზომილება იმკვიდრებს. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ეროვნულ დიალოგში ეკონომიკური ზრდის თემას მალე ეკონომიკური განვითარების თემა ჩაენაცვლება.

რამდენად მნიშვნელოვანია ან საერთოდ შესაძლებელია კი პრიორიტეტების ამგვარი

დიაგნოზიკური ცვლილება ქართულ საფინანსო სივრცეში? საზოგადოებრივ აღქმაში საფინანსო სექტორის ხედვა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ხომ გაიგივებული იყო ევოცენტრისტულ მოდელოდ, რომლის თანახმადაც ერთ-ერთი მთავარი საზოგადოებრივი ფასეულობა გულისხმობდა საფინანსო სექტორისათვის მაქსიმალურად, ყველა საშუალებით შესაძლებელი ხელსაყრელი პირობების შექმნას, ახალი თეზისების საფუძველზე კი ძირითადი ფასეულობები უკვე ინაცვლებს ფართო საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესი აღიარებისაკენ.

შესაბამისად, არის თუ არა ბოლო დროის მცდელობები დროებითი ხასიათის და წარმოადგენენ თუ არა ისინი მხოლოდ მიმდინარე მმართველობითი კონიუნქტურის გამომხატულებას?

როგორც ჩანს, იდეები აღნიშნული ცვლილებების თაობაზე არ წარმოადგენენ მხოლოდ ადგილობრივ, ქართულ წიაღში აღმოცენებულ დროებით შეხედულებებს. სავარაუდოა, რომ ცვლილებების ტალღა გაცილებით შორს, გლობალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცენტრებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებში იღებს სათავეს, რასაც თავისი წინარე ისტორია გააჩნია.

როგორც ცნობილია, 1990-იანი წლების ბოლომდე საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით კი ე.წ. ბრეტონ-ვუდსის სისტემის ინსტიტუტების – მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სახელმძღვანელო პოსტულატები მაქსიმალურად იყო მორგებული ბაზრის უნივერსალურობის თეზისს. შემდეგ ამ თეზისმა თანდათანობით დევალაცია განიცადა. საზოგადოებების განსხვავებულ განვითარებას მოგვიანებით სიღარიბისა და უთანაბრობის მწვავე ტენდენციები მოჰყვა გლობალური მასშტაბით, რამაც საერთაშორისო ინსტიტუტების დღის წესრიგში ახალი, სოციალური განზომილება დააყენა.

ამიერიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღარ წარმოადგენდა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოშლილი სოციალური უსაფრთხოების სისტემების ერთადერთ ქომაგს. მას თანდათანობით შეემატა გაეროს სხვადასხვა ქვე-